ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის
საბჭოს 9.12.2013 სხდომის

ოქმი №10

სხდომას ესწრებოდა: საბჭოს 35 წევრიდან - 18

დღის წესრიგი:

1. აკადემიური პროგრამების მინიმალური კომპეტენციებისა და მისაღები კონტინგენტის განმსაზღვრელი ანკეტა-კითხვარის დამტკიცება
   მომხს: ნ. მაჭარაშვილი

2. "სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს" პროგრამის ფარგლებში სტუდენტთა დაფინანსების წესში ცვლილებების შესახებ
   მომხს: ნ. მაჭარაშვილი

3. ფაკულტეტის მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტთა დაფინანსების წესში ცვლილებების შესახებ
   მომხს: ნ. მაჭარაშვილი

4. ფაკულტეტის 2014 წლის ბიუჯეტის განხილვა
   მომხს: ნ. მაჭარაშვილი

5. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულების დამტკიცება
   მომხს: ნ. მაჭარაშვილი

მოისმინეს: 1. ბაკალავრიატის საფეხურის აკადემიური პროგრამების მინიმალური კომპეტენციებისა და მისაღები კონტინგენტის განმსაზღვრელი ანკეტა-კითხვარის პროექტი დამსწრეთ წარუდგინა დეკანის მ. შ. ნანა მაჭარაშვილმა

აზრი გამოთქვეს: თ. გაგოშიძემ, ი. კაჭკაჭიშვილმა, გ. გოგსაძემ, თ. დოლბაიამ, დ. ოსეფაშვილმა და სხვ.

დაადგინეს: დამტკიცდეს 2014 წელს ბაკალავრიატის საფეხურის აკადემიური პროგრამების მინიმალური კომპეტენციებისა და მისაღები კონტინგენტის განმსაზღვრელი ანკეტა-კითხვარი (ოქმს თან ერთვის)

მოისმინეს: 2. "სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს" პროგრამის ფარგლებში სტუდენტთა დაფინანსების წესში ცვლილებების შეტანის თაობაზე ისაუბრა ნ. მაჭარაშვილმა. დაზუსტდა რიგი აქტივობებისთვის მისანიჭებელი წონა და ქულები.

აზრი გამოთქვეს: ი. კაჭკაჭიშვილმა, გ. გოგსაძემ, ნ. დურგლიშვილმა და სხვ.

დაადგინეს: შევიდეს ცვლილებები "სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს" პროგრამის დაფინანსების წესში (ოქმს თან ერთვის) და სტიპენდიები გაიცეს ამ ცვლილებათა შესაბამისად.

მოისმინეს: 3. ფაკულტეტის მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტთა დაფინანსების წესში ცვლილებების აუცილებლობის შესახებ ისაუბრა ნ. მაჭარაშვილმა და წარმოადგინა პროექტი რომელიც ითვალისწინებს პროგრამული დაფინანსების წესზე დაბრუნებასა და თანხის მოძრაობას პროგრამის შიგნით.

აზრი გამოთქვეს: თ. გაგოშიძემ, შ. საბაურმა, გ. გოგსაძემ, ლ. სურმანიძემ, ი. კაჭკაჭიშვილმა და სხვ.

დაადგინეს: შევიდეს ცვლილებები ფაკულტეტის მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტთა დაფინანსების წესში, დაბრუნდეს პროგრამული დაფინანსება და თანხის მოძრაობა პროგრამის შიგნით.

მოისმინეს: 4. დეკანის მოვალეობის შემსრულებელმა წარმოადგინა ფაკულტეტის 2014 წლის ბიუჯეტის პროექტი (ოქმს თან ერთვის)

აზრი გამოთქვეს: დ. ოსეფაშვილმა, თ. დოლბაიამ, გ. გოგსაძემ, ლ. სურმანიძემ და სხვ.

დაადგინეს: ცნობად იქნას მიღებული ბიუჯეტის 2014 წლის პარამეტრები

მოისმინეს: 5. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულება დამსწრეთ გააცნო ნ. მაჭარაშვილმა

აზრი გამოთქვეს: თ. გაგოშიძემ, შ. საბაურმა, გ. გოგსაძემ, ლ. სურმანიძემ, ი. კაჭკაჭიშვილმა და სხვ.

დაადგინეს: თსუ-ის აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად გადაეცეს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულება.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე: ნ. მაჭარაშვილი, ასოცირებული პროფესორი

საბჭოს მდივანი: თ. დოლბაია, ასოცირებული პროფესორი

9 სექტემბერი 2013

ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობა

დეკანის მოვალეობის შემსრულებელი

ნანა მაჭარაშვილი – ასოცირებული პროფესორი -

პოლიტიკის მეცნიერების მიმართულება

მალხაზ მაცაბერიძე –პროფესორი -

ალექსანდრე კუხიანიძე –პროფესორი -

გია ჟორჟოლიანი – ასოცირებული პროფესორი -

საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულება

იოსებ სალუქვაძე –პროფესორი -

რევაზ გაჩეჩილაძე –პროფესორი -

გიორგი გოგსაძე –პროფესორი -

თამარ დოლბაია - ასოცირებული პროფესორი -

საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულება

ზურაბ დავითაშვილი –პროფესორი -

~~გიორგი ხელაშვილი – ასისტენტ პროფესორი -~~

ალექსანდრე რონდელი - პროფესორი -

ფიქრია ასანიშვილი - ასოცირებული პროფესორი -

სერგი კაპანაძე – ასოცირებული პროფესორი -

სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულება

იაგო კაჭკაჭიშვილი –პროფესორი -

ლალი სურმანიძე – ასოცირებული პროფესორი -

თამარ მახარაძე – ასოცირებული პროფესორი -

ნინო დურგლიშვილი – ასოცირებული პროფესორი -

ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულება

მარიამ გერსამია –პროფესორი -

დალი ოსეფაშვილი –პროფესორი -

მარი წერეთელი – ასოცირებული პროფესორი -

მანანა შამილიშვილი – ასოცირებული პროფესორი -

ნანა ტალახაძე – ასოცირებული პროფესორი -

ფსიქოლოგიის მიმართულება

რევაზ ჯორბენაძე - პროფესორი -

გუგული მაღრაძე - პროფესორი -

თამარ გაგოშიძე - პროფესორი -

ია კუტალაძე - ასოცირებული პროფესორი -

ხათუნა მარწყვიშვილი - ასისტენტ პროფესორი -

მზია წერეთელი - პროფესორი -

სტუდენტური თვითმმართველობა

ლევან ჩოხელი –

შალვა საბაური –

ბექა დადეშქელიანი -

ნესი კუპრეიშვილი -

გიორგი ყიფშიძე -

თეონა კვანჭიანი -

გიორგი კაკაურიძე -

პროგრამის „სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს" ფარგლებში სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის სტუდენტთა ფინანსური წახალისებისათვის კანდიდატთა შერჩევის კრიტერიუმები[1]

1. **აკადემიური მოსწრება** (ბოლო სემესტრის მიხედვით) – **არაუმეტეს 80 ქულა**

- ✓ გამოითვლება წინა სემესტრში პროგრამით გათვალისწინებული საგნების (არანაკლებ 27 კრედიტი) ჩაბარებისა და მიღებული ქულების საშუალო არითმეტიკულის გამოანგარიშებით. [2]
- ✓ სტიპენდიების გამანაწილებელი კომისია იხელმძღვანელებს სტუდენტის სასწავლო ბარათით, რომელიც განთავსებულია sms.tsu.ge-ზე.

2. **სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნება** [3] **(გათვალისწინებული იქნება წინა სემესტრში გამოქვეყნებული ნაშრომები) - არაუმეტეს 10 ქულა.**

შენიშვნა: წინა სემესტრის პერიოდში იგულისხმება გასული სემესტრის ადმინისტრაციული რეგისტრაციის დაწყებიდან მიმდინარე სემსტრის ადმინისტრაციული რეგისტრაციის დაწყებამდე პერიოდი.

	მისანიჭებელი ქულა	პუბლიკაციები	ნაშრომთა რაოდენობა	ქულა
1.	0.4 ქულა [4]	- ინტერნეტ გამოცემებში გამოქვეყნებული სტატიები, ნაშრომები		
2.	1 ქულა [5]	- საქართველოში, მათ შორის, თსუ-ს ფარგლებში, ან უცხოეთში გამოქვეყნებული საგაზეთო პუბლიკაციები (აქვე განიხილება ვიდეო და აუდიო		

[1] კონკურსში არ მონაწილეობენ პირველი, მერვე და დამატებითი სემესტრის სტუდენტები.

[2] დეკანატი შუამდგომლობით შევიდა რექტორთან, რომ სტიპენდიების გაცემის ბრძანებაში შევიდეს ცვლილება და დაიშვას სოც. პოლ. ფაკულტეტზე მოსწავლე ყველა ის სტუდენტი, რომელიც წინა სემესტრში დააგროვებს მინიმუმ 27 კრედიტს (ეს განპირობებულია იმით, რომ სტუდენტთა გარკვეული კატეგორიისთვის ინგლისურ ენაში კრედიტების რაოდენობის ცვლილებამ 5-დან 3-მდე, ან 2-მდე, გამოიწვია მათთვის სემესტრის განმავლობაში კრედიტების შემცირება 30-დან, 27, ან 28-მდე.

[3] დაფინანსების მიღების მიზნებისთვის არ ჩაითვლება პუბლიკაცია, რომელიც განთავსებულია ბლოგებზე, ან არარედაქტირებად ვებ-გვერდებზე.

[4] ამ პუნქტში გათვალისწინებულ ინტერნეტ გამოცემებში სტატიების და ნაშრომების გამოქვეყნებამდე უნდა ხორციელდებოდეს მათი კორექტირება, და/ან გარკვეულ სტანდარტებთან/მოთხოვნებთან მათი შესაბამისობის შემოწმება, რაც უნდა დასტურდებოდეს მხოლოდ ინტერნეტ-გამოცემის ოფიციალური წარმომადგენლის მიერ ხელმოწერილი და ბეჭდით დადასტურებული წერილით. მოცემულ პუნქტში მითითებული სტატიებით, და/ან ნაშრომებით შესაძლებელია არაუმეტეს 2.0 ქულის დაგროვება. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტს წარმოდგენილი აქვს 5-ზე მეტი ნაშრომი და პოტენციურად მისაღები ქულები აღემატება 2.0 ქულას, ზედმეტი პუბლიკაციების ჩათვლა არ მოხდება.

[5] ამ პუნქტში იგულისხმება ბეჭდვითი, ან ელექტრონული გაზეთები.

		მასალები, თუმცა არ ითვლება ნიუსები და ის პუბლიკაციები, რომელიც დაიბეჭდა/აიტვირთა გავლილი სასწავლო კურსის ფარგლებში განხორციელებული სასწავლო საქმიანობიდან გამომდინარე, რადგან წარმოადგენს აკადემიური მოსწრების შემადგენელ ნაწილს)		
2.	2 ქულა [6]	- ქართულ, ან უცხოურ ბეჭდურ, ან ელექტრონულ გამოცემებში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები, სტატიები, მათ შორის, ანალიტიკური ცენტრების, სხვადასხვა ორგანიზაციების ეგიდის ქვეშ გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები - თსუ-ს ფარგლებში, მათ შორის, ელექტრონულ ჟურნალებში, გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები, ან/და სტატიები		
3.	3 ქულა [7]	- საქართველოში გამოცემულ რეცენზირებად სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებული პუბლიკაციები, პრიზი ადგილობრივ გამოფენაზე, ან კინოფესტივალზე, საქართველოს ტელე, ან რადიო-მაუწყებლების მეშვეობით გასული ტელე, ან რადიო-სიუჟეტი		
1	4 ქულა	- რეცენზირებად უცხოურ სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებული პუბლიკაციები; პრიზი საერთაშორისო გამოფენაზე, ან კინოფესტივალზე; უცხოურ მედია საშუალებაში გასული ტელე, ან რადიო-სიუჟეტი		

3. სამეცნიერო სტუდენტურ კონფერენციებში მონაწილეობა (გათვალისწინებული იქნება წინა სემესტრში ჩატარებული კონფერენციები) - არაუმეტეს 10 ქულა.

შენიშვნა: წინა სემესტრის პერიოდში იგულისხმება გასული სემესტრის ადმინისტრაციული რეგისტრაციის დაწყებიდან მიმდინარე სემსტრის ადმინისტრაციული რეგისტრაციის დაწყებამდე პერიოდი.

	მისანიჭებელი ქულა	კონფერენციები	რაოდენობა	ქულა
1	0.5 ქულა [8]	- სერთიფიცირებულ ტრენინგებში, მრგვალ მაგიდებში, მოდელირებებში, სემინარებში მონაწილეობა		

[6] ამ პუნქტში გათვალისწინებულ ელექტრონულ გამოცემებში სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნებამდე უნდა ხორციელდებოდეს მათი რედაქტირება, რაც დასტურდება მხოლოდ ელექტრონული გამოცემის ოფიციალური წარმომადგენლის მიერ ხელმოწერილი და ბეჭდით დადასტურებული წერილით.

[7] ამ პუნქტში გათვალისწინებულ გამოცემებში გამოქვეყნებამდე უნდა ხდებოდეს მათი რეცენზირება და peer-review. ამ პუნქტში გათვალისწინებული ტელე, ან რადიო სიუჟეტი გამოქვეყნებული უნდა იყოს საქართველოში მოქმედი ლიცენცირებული ტელე, ან რადიო მაუწყებლ(ებ)ის საშუალებით.

2	1 ქულა	- საქართველოში გამართულ თსუ-ს ფარგლებს გარეთ სტუდენტურ კონფერენციაში მონაწილეობა გამარჯვება, ჯილდეობი		
3	2 ქულა	- თსუ-ში ჩატარებულ საუნივერსიტეტო, საფაკულტეტო, დეპარტამენტის, კათედრის სტუდენტურ კონფერენციაში მონაწილეობა გამარჯვება, ჯილდეობი		
4	3 ქულა	- ქვეყნის გარეთ გამართულ საერთაშორისო სტუდენტურ კონფერენციაში მონაწილეობა გამარჯვება, ჯილდეობი		
5	4 ქულა	- ეროვნულ არასტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციაში, მათ შორის, უნივერსიტეტის ფარგლებში გამართულ კონფერენციაში მონაწილეობა გამარჯვება, ჯილდეობი		
6	5 ქულა	- საერთაშორისო არასტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობა გამარჯვება, ჯილდეობი		

შენიშვნა:

თუ კონფერენციაში მონაწილეობის შედეგად სტუდენტის ნაშრომი დაიბეჭდება, მაშინ დაუშვებელია ქულის მინიჭება ორივე კატეგორიაში - „კონფერენციებში მონაწილეობაშიც“ და „ნაშრომების გამოქვეყნებაშიც“. სტუდენტს მიენიჭება ქულა იმ კატეგორიაში, რომელშიც ის უფრო მეტ ქულას იღებს.

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის
2014 წლის ბიუჯეტის პროექტი

დასახელება	2014 წლის ბიუჯეტი
სულ ხარჯები	**3 368 510**
შრომის ანაზღაურება	2377176
თანამდებობრივი სარგო	**2377176**
აკადემიური პერსონალი (წლიური ხელფასი)	1875960
ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი	501216
პრემია	0
დანამატი	
საქონელი და მომსახურება	991 334
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	**727 480**
მოწვეული სპეციალისტები (საათობრივი ანაზღაურება)	380 000
უცხოეთიდან მოწვეული სპეციალისტები (ჰონორარი)	15000
დამხმარე პერსონალი (ფაკულტეტის ადმინისტრაცია) შტატგარეშე მომსახურეთა ანაზღაურება	153480
დამხმარე პერსონალი (თარგმნა და რედაქტირება)	179000
მივლინება	**60000**
ქვეყნის შიგნით	3290
ქვეყნის გარეთ	56710
წარმომადგენლობითი ხარჯები	**51000**
მიღებების, წვეულებების და ღონისძიებების ხარჯები, დარბაზი, ფურშეტი, და სხვა.	12000
მომსახურების უზრუნველყოფა (სატრანსპორტო, სასტუმროს განთავსების და სხვა ხარჯები)	39000

სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	*152854*
სამეცნიერო ჟურნალების და კრებულების შეძენისა და გამოცემის ხარჯები (მ.შ. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი)	*21000*
სესიების, კონფერენციების, ყრილობების, სემინარების და სხვა სამუშაო შეხვედრების ორგანიზების ხარჯი	*4800*
პრაქტიკის ხარჯები, დოქტორანტების ემპირიული კვლევის ხარჯების დაფინანსება. (ემპირიული კვლევა)	*60000*
სტუდენტთა გაცვლით პროგრამებში, სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციებში, იმიტირებულ პროცესებში და სხვა დაფინანსების ხარჯებილ (პრაქტიკის ხარჯები)	*67054*

დეკანის მოვალეობის შემსრულებელი ნანა მაჭარაშვილი